კ. მარქსი

თეზისები ფოიერბახის შესახებ [2]

1

მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა, ფოიერბახის ჩათვლით, ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის ანუ განჭვრეტის ფორმაში იხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად. ამიტომ მოხდა, რომ მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი ანყითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას, როგორც ასეთს, არც იცნობს. ფოიერბახი აღიარებს გრძნობად, აზროვნებითი ობიექტებისაგან ნამდვილად განსხვავებულ ობიექტებს, მაგრამ იგი თვით ადამიანის მოქმედებას არ უცქერის როგორც საგნობრივ მოქმედებას. ამიტომ „ქრისტიანობის არსებაში" იგი მხოლოდ თეორიულ მოქმედებას იხილავს როგორც ნამდვილ ადამიანურ მოქმედებას, მაშინ როდესაც პრაქტიკა მხოლოდ მის ბილწ ურიულ ფორმაშია გაგებული და ფიქსირებული. ამიტომ მას არ ესმის „რევოლუციური", „პრაქტიკულ-კრიტიკული" მოქმედების მნიშვნელობა.

2

საკითხი, ახასიათებს თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჭეშმარიტება, თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ პრაქტიკულს. ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჭეშმარიტება, ე. ი. ნამდვილობა და ძალა, მისი ამქვეყნიურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების ნამდვილობისა და არანამდვილობის შესახებ წმინდა სქოლასტიკური საკითხია.

3

მატერიალისტური მოძღვრება, რომ ადამიანები გარემოებისა და აღზრდის პროდუქტები არიან, მაშასადამე, შეცვლილი ადამიანები სხვაგვარი გარემოებისა და შეცვლილი აღზრდის პროდუქტები არიან,

ივიწყებს, რომ გარემოებას სწორედ ადამიანები სცვლიან და რომ ალმ-ზრდელი თვით უნდა აღიზარდოს. ამიტომ ამ მოძღვრებას აუცილებ-ლად საზოგადოების ორ ნაწილად გათიშვისაკენ მივყევართ, რომელ-თაგან ერთ-ერთი საზოგადოებაზე მაღლა დგას (მაგ. რობერტ ოუენთან).

გარემოებათა და ადამიანთა მოქმედების ცვლილების თანამთხვე-ვა შეიძლება წარმოვიდგინოთ და რაციონალურად გავიგოთ მხოლოდ როგორც რევოლუციური პრაქტიკა.

4

ფოიერბახი გამოდის რელიგიური თვითგაუცხოების, ქვეყნიერების გაორების ფაქტიდან რელიგიურ, წარმოდგენაში არსებულ ქვეყნად და ნამდვილ ქვეყნად. მისი მუშაობა იქითაა მიმართული, რომ რელიგიუ-რი ქვეყნიერება მის მიწიერ საფუძველზე დაიყვანოს. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ წთავარი საქმე მაინც გასაკე-თებელი რჩება. სახელდობრ, ის გარემოება, რომ წიწიერი საფუძველ-თავის თავს შორდება და დამოუკიდებელი საწეფოს სახით ღრუბლებ-ში მყარდება, შეიძლება აიხსნას სწორედ ამ მიწიერი საფუძვლის თვითგათიშვითა და თვითწინააღმდეგობით. ამრიგად, ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, თვით უნდა იქნეს გაგებული მის ორითწინააღმდეგობა-ში, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად გარეკოლუციურებულ იქნეს ამ წი-ნააღმდეგობის აცილების გზით. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც, მაგა-ლითად, ამქვეყნიურ ოჯახში აღმოვაჩინეთ წმინდა ოჯახის საიდუმ-ლოება, იგი, ე. ი. ამქვეყნიური ოჯახი, თეორიულად უნდა გაეაკრიტი-კოთ და პრაქტიკულად რევოლუციურად გარდავქმნათ.

5

განყენებული აზროვნებით უკმაყოფილო ფოიერბახი გრძნობად განჭვრეტას მიმართავს; მაგრამ იგი გრძნობადო-ბას არ იხილავს როგორც პრაქტიკულ, ადამიანურგრძნობად მო-ღვაწეობას.

6

ფოიერბახს რელიგიური არსება ადამიანურ არსებაზე დაპ-ყავს. მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივი ურ-თიერთობების ერთობლიობაა.

ამიტომ ფოიერბახი, რომელიც ამ ნამდვილი არსების კრიტიკას არ აწარმოებს, იძულებულია:

1. გახყენება მოახდინოს ისტორიული მსვლელობისაგან, ფიქსაცია

ულოს რელიგიურ გრძნობას (Gemüt) თავისთავად და ადამიანური ინდივიდი იგულისხმოს აბსტრაქტულად, ი ზ ო ლ ი რ ე ბ უ ლ ა დ.

2. ამიტომ ადამიანური არსება, მისი აზრით, შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც „მოდგმა", როგორც შინაგანი, მუნჯი ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ აკავშირებს მრავალ ინდივიდს.

7

ამიტომ ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ თვით „რელიგიური გრძნობა" ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ა და რომ განყენებული პიროვნება, რომელსაც იგი ანალიზს უკეთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის.

8

საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში.

9

უმაღლესი პუნქტი, რომელსაც მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ო ბ ი თ ი მატერიალიზმი აღწევს, ე. ი. მატერიალიზმი, რომელსაც გრძნობადობა არ ესმის როგორც პრაქტიკული მოქმედება, ესაა ცალკე ინდივიდთა განჭვრეტა „სამოქალაქო საზოგადოებაში".

10

ძველი მატერიალიზმის თვალსაზრისი „ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო" საზოგადოებაა; ახალი მატერიალიზმის თვალსაზრისია ა დ ა მ ი ა ნ თ ა საზოგადოება ანუ განსაზოგადოებული კაცობრიობა.

11

ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ დ ნ ე ნ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს.

იბეჭდება
კ. მარქსისა და ფ. ენგელსის
რჩეულ თხზულებათა
ორტომეულის მიხედვით.